

კვირა 22 ივნისი

ფანი კაპ.  
თარგმანი  
და რედაქცია

# საბრუნო

№ 22

იუმორისტ. ჟურნალი



უებარი საზუალება საქართველოს ტერიტორიის დასაცავად და მის გასანოყიერებლად.

### კრიტიკული შენიშვნები.

(გაგრძელება. იხ. „მათახი“ № 1.)

#### II.

ერთი უდიდესი ღირსება პროვინციის პროვინცია, ქალაქის პროვინციისთან შედარებით, ის არის რომ იქ კუქს და საზოგადოთ კუქს საკითხს ნაკლები ადგილი აქვს დასაშობილი. პროვინციული პოეტი თითქმის ყველა ადგილისტია და ნაკლებათ აინტერესებს სინამდვილე, რეალური ცხოვრება. თუ ქალაქის ცხოვრება ვიწრო ეკონომიურ მუხრუპებშია მოქცეული და აქაური პოეტებიც ამ ცხოვრების გავლენის ქვეშ არიან და გარდა ერთი ორისა ამ ქვეყანას ვერ გასცილებიან და ზეცას ვერ მისწლომიან, სამაგიეროდ სულ სხვაა ლალ ბუნების შემყურე, თავისუფლად მონადირე პროვინციული პოეტი, ყოველი ფეხის გადადგმა, ყოველი თვლის გადავლება, ყოველი ხმარობა, ყოველი სულდამული მის პოეტურ ტენის უღირნებს და ლექსის თხზვის ხასიათზე მოკავს. მაგალითისთვის შორს არ წავალოთ. ესთქვათ ზაფხულის პაპანაქება დღეა, ჩეროში ხის ძირს ხის პროვინციული პოეტი, გულ გადადღლით თვალებს დაქვეტილი უგრძნობლად გაჰყურებს ცის სივრცეში, ხან დაამთქნარებს, ხან თავს მოიქექს. აიპირი იცის რაიმე აზრი ტრიალებს ამ დროს მის თავში თუ არა. ესუქვათ ამ დროს საიდგანაღვ გამოძვრა ქრელი კობტა ქათამი, სიციხისაგან პირი დაღლია; თვალებს აქეთ-იქით აციკვებს, რაღაცას ეძებს, რას თვითონ ნაც არ იცის. ქათამი იწყებს საუცხოვერ კაცანს. ჩაეწყვითება თუ არა პოეტს ეს სიური ხმა, ის საშინელ დღევას იწყებს, მის თავში დიდი აურ-ზაური იწყება, მისი ოცნება ფრთებს ისხამს და პოეტიც ანთხებს ლექსებს, მისი ოცნება შორს მიდის, ის იპრურობს მთელ დედამიწას მთელ სამყაროს. ასეთივე გავლენას ახდენს პროვინციული პოეტზე ძროხის ნაზი ბღავილი, ვირის ყოყინი, ცხენის ქიხინი და სხვა. მართალია რეა-

ლურ საგნებს მათზე გავლენა აქვს, მაგრამ ამ გავლენის მეოხებით ისინი უმთავრესად განყენებულ საგნებს ეხებიან. მაგრამ დიდი ხანი არ არის რაც პროვინციის პროვინციაში თავი იჩინა და ნულ ნულა ფეხს იკადმებს რეალური მიმართულება. გაჩნდა თითო ოროლა რეალისტი პოეტი და თვინათი რეალობა გარდა პოეტიისა პრაქტიკული ცხოვრებითაც დაამტკიცეს. პირველი ადგალი ამ რეალურ პოეტებში ლირსეულად უნდა ვარგუნოთ პოეტ გუცას, რომელიც ამ მიმართულებას პოეტთა მამათ-მთავრად იქნა აღიარებული და მიმართულებითაც შესაფერი სახელი ეწოდა: „გუცისძე“. რეალურ პოეტებში პირველი რეალური ლექსი შეთხზა „გუცისძე“ ანდრია ბურხლაძემ. აი ნიმუში მისი რეალური პოეტიისა: მიყვარს, მიყვარს გაგვიყვითო კუქი საქმლით გატენილი, პოეტური აზრი, გრძნობა, ხის წვეგრებზე აფრენილი. აი ეს ერთი ტაემი ბურხლაძის გრძელ პოემიდან ამოგლეჯილი სეკანისა: ახასიათებს თუ რავარ პოეტთან გვაქვს საქმე. ბ-ნი ბურხლაძე ამ რამდენიმე სიტყვაში ნათლად ხატავს მთელ თავის სულის კვეთებას. ეს ნამდვილი რეალისტი „გუცისძეა“, ის ეტრფის კუქს, საქმელს, მისი პოეტური აღმავრენა შორს ცის სიღრმეში არ ეპოტინება, ის რეალურ საგანზე, ხის კენწერობა არის წამომგდარი. ქეშმარტად ბ-ნი ბურხლაძე პროვინციული პოეტთა შორის პირველი „გუცისძე რეალისტი“ და რეალურ პოეტიის მესვეურად უნდა აღვიაროთ. ეხლა განვიხილოთ სიტყვა სიტყვით მთელი ლექსი და ის დიდი აზრი, რომელიც ამ სიტყვებში არის ჩაქსოვილი „მიყვარს“. აი ამ სიტყვით იწყებს ბ-ნი ბურხლაძე თავის ლექსს. ეს ერთი ზნე ყველა ქართულ პოეტს სჭირს ან სიყვარულით, ან ქიფით და ან ჩხუბით უნდა და-

იწყოს ლექსის წერა. ყოველი ქართული პოეტი რა მიმართულებისც უნდა იყოს პირველად, რაკ პოეტური ქენჯნა იპყრობს მის ორგანიზმს, სიყვარულზე იწყებს მღერას. პოეტს სიყვარულის ცუცხლი იპყრობს და რამდენიმე წელის განმავლობაში მისი ტყვე ხდება. პოეტი ანთხებს ლექსებს, ქებათა-ქებას ახამს საყვარელი არსების თითებს, ხელებს. ფეხს და მის ფრჩხილებს და ამ ფეხზე წამოგებულ კობტა ტუფოებს. და ეს ლექსთა ნიაღვარი ეურნალ-გაზეთებში იბეჭდება. ამ მხრით ქართული პოეტი უზრუნველ ყოფილია. ესთქვათ პოეტს თავის სატრფილო შორს ჰყავს, არ შეუძლია წერბილი მაშფილდინო ან სიმორის ან სხვა რამ მიზეზის გამო (ბშირად მოხდება რომ სატრფოს ბარათი სხვა მიმართულებას ეგებულობს და სხვას უვარდება ხელში. ასეთა გერმოვება ფრიალ სახეშთთა პოეტისთვის. ადვილი მოსადიდნელი ამ „სხვამ“ პასუხის მაგიერ აზვირთებულ პოეტს გვერდები დაუზილოს). ამიტომ პოეტს ერთი ფრიალ ადვილი გზა დაჩრენია დაბეჭდოს თავის ლექსი-ბარათი გაზეთში. სატრფილო ვაჭეთს კითხულობს და ფრიალ კმაყოფილი რჩება. საზოგადოებაც მადლიერია პოეტის, რომ ასეთი ლექსი შეთხზა და ის ექ არ იცის თუ ის ბარათია და არა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ლექსი. ჩვენებურ დროის პოეტთა სატრფილო საგანი უმთავრესად ქალები არიან და მათი ლექსები ამ მხრით არის მიმართული. სიმართლე უნდა ესთქვათ ეს საკითხი დიდი ხანია ვსთვებით გააშუქო ს. ქვარიაშვილმა. მან თავის ლექსებში დაწვრილებით აგვიწერა არა თუ მარტო ქალის, როგორც სატრფილო საგნის აგებულება, არამედ სუნიც, რომელიც ქალის სუნელს აქვს. ქეშმარტად ამ დიად საკითხში პირველი ადგილი ამ პოეტს უნდა მივანიჭოთ. ჩავყვეთ ქვევით და განვიხილოთ რას ამზამს პოეტი „ბურხლაძე: ჩუქი საქმლით გატენილი“.

აი ის ქვა-კუთხედი, რომელზე-  
დაც დამყარებულია ჩრეალისტ გუ-  
ცი სიტუა“ მიმართულება. ეს ისეთი  
რთული საკითხია, რომ დრო და  
ადგილი ნებას არ გვაძლევს აქვე  
გვაჯარხოთ. ამიტომ ვადვილთ შე-  
მდეგი ნომრისთვის, სადაც განხი-  
ლული იქნება „საქპლით გატენილი  
კუჭი“ და ის დიდი ცვლილება,  
რომელიც ასეთმა კუჭმა მოახდინა  
ზოგიერთ პოეტთა ცხოვრებაში.

**ირეთელი.**

(შემდეგი იქნება)

**მანძანს.**

დიდი, პატარა, ნაწილი  
ერთად რბის, როგორც ქარია,  
უსულს სავანთ თანხმობა  
სამო, სანერგარია.

ასე შეწყობით ერთიან,  
როგორ მოძრაობს ყოველი,  
მინდა ვადვილო ნიშნში,  
შენ სანახავთ მოველი.

შეუპოვარი დღე და ღამ  
დარბიზარ, ვავაქვს გრიალი,  
მახანვეებს, იმედ მიღვიძებს,  
შენი თანასწორ ტრიალი...

**გოგია.**

**კურიოსები.**

(ქართულ სტენის მოღვაწეთა ყრილობაზე)

(დასასრული, იხ. „მართალი“ № 21.)

**მოქმედება პირველი და უკანასკნე-  
ნელი.**

(ზელი კლუბი დაიკუთხეს  
დავიწყდათ ბევრი რამე,  
და ყრილობა ვაგარძელეს  
შვიდი დღე და შვიდი ღამე).

**უკანასკნელი დღე.**

**თავმჯდომარე.**

ორატორთა სიას ვაზრავ  
ჩაყურდა ოცდა ორი,  
კათედრაზე გამობრძანდით,  
ძმანო მოსე და გრიგორი.

**მოსე.** (სწრაფად მაღის კაფედრასკენ)  
მე მხატვარი... კათედრაზე  
წამოვჯდები როგორც ქორი,  
როცა ყბები მოვლდება  
სიტყვის იტყვის მძა გრიგორი.

**გრიგორი.**

(გადაღობება გზაში და გაჩერებს).  
შესდე! ეხლად შენს ადგილზე  
ისევე დაჯექ მძაო ჩემო,  
თავებლობა ვერ შეგვარჩენ  
იქნებ კარგა მაგრა გცემო.  
მე უფროსი შენ უმცროსი  
სიტყვა არის პირველ ჩემი,  
შენ იქ დაჯექ წაიკითხე  
გინდ „სახალხო გინდა ჟთეში“.

**მოსე.** (ძლიერ დაღონებულია ჩამოდას  
კათედრიდან და მაღის თავის ადგილს-  
კენ) მე მხატვარი... თქვენ მხატვარი...  
(დაჯდება).

**თავმჯდომარე.**

აბა გრიგორი გიცილი დაიწყეთ,  
მხოლოდ მოკლედ სთქვით არ დაგა-  
ვიწყდეთ.

**გრიგორი.**

ბევრ ღობარას არ დავიწყებ  
სიტყვის ვიტყვი მხოლოდ ორსა,  
ჯერ საღამი, გამარჯვება  
თავმჯდომარე — დირექტორსა.  
(თავმჯდომარე თავს უგრავს, ჯდის გა-  
თედრაზე და ხუთშეტ წუთს ხსევლებს.  
მერე დაბერი მოუხუყნრობა ეტეობა. საღ-  
ხა ვერ დაქვექტილია ეღის სიტყვას).

**თავმჯდომარე.**

აბა გრიგორი დაიწყე მალე  
თორემ ლოდინში სულ დავიღალე.

**გრიგორი.**

იყო და არა იყო რა  
არა იყო რა, იყო რა,  
ბებისა ჰყავდა პატარა  
ქროხა ნიშა და ნიკორა.

**თავმჯდომარე (წაგვეტენებს).**

თქვენმა დღიძმმა ძმამა მოსემ  
წინეთ გვითხრა ეგ ზღაპარი,  
თქვენ სხვა რამ სთქვით, სხვა გვიამბეთ  
ამა კრების შესაღარი.

**მოსე** (ადვილიდან).

მე მხატვარი... თქვენ მხატვარი...

**გრიგორი.**

მე ტენიკი... ის მხატვარი,  
თოქთა ჩვენი გვარი,  
ის მხატვარი... მე ტენიკი,  
ორივეს ვვაქვს ყბა მაგარი.

**მოსე** (ადვილიდან).

მე მხატვარი... ის ტენიკი,  
მე მოსე და ის გრიგორი.

**თავმჯდომარე.**

გრიგორ! რატომ დაგვიწყდათ  
სიტყვა უნდა გეთქვათ ორი.

**გრიგორი.** ამ საათში მოგახსენებთ:

იყო რა არა იყო რა,  
არა იყო რა იყო რა  
პატარა ჩიტი ჩიორა.

**თავმჯდომარე (გულ-მოსუფი).**

სიტყვის გართმევთ არ გვკალიან  
ზღაპრებისა მოსასმენათ,  
თქვენ დაბრძანდით მოსე მოვა  
მთელი კრების მოსახსენად.

**მოსე** (სასწრაფად გამოდის და გზაში  
დაეკუჭება გრიგორის და წაინსუბებენ).  
მე ტენიკი.

**გრიგორი.** შენ მხატვარი.

**ხმები.** ამოვარდა თქვენი გვარი.

**მოსე** (წაიხუჯება კათედრაზე).

მე მხატვარი... თქვენ მხატვარი,  
არ დამტოვოთ გულდამწვარი,  
უკანასკნელ სიტყვის ვიტყვი  
შოსიმინეთ არ თქვათ ვარი.

(საზოგადოება ძლიერ აღლევებულია. მხატ-  
ვარს თავის ალაგზე დასვამენ. შემდეგ კა-  
თედრის მოაჯღება ხან ალიოზმა, ხან თომამ,  
ხან გიორგი და მოელ დარბაზში უჭილი  
გაისმის. ოთხ საათზე კრება იხურება და  
ყველანი ბაღში მიდიან სადაც სურათს იღე-  
ბენ. გრიგორს წვერებთან ერთად, სურათი გა-  
დილობა მზავალმა გამეღვლა-გამოშვალა,  
რომლებსაც არც კი ვაგვარის შესახებ იყო  
ყრილობა.

**დასმწრი.**

**ქუთაისის რამე-რამე.**

ევლოშვილის საღამო,

ვახდა მისთვის საამო“.

ტყვილად არ იძახიან დასელებს  
მოწინააღმდეგენი, რომ დასელებს  
დიდი პოლიტიკის ხალხიო. აბა მი-  
თხარით ვის შეეძლოთ თუ არ დასე-  
ლებს ამგვარი პოლიტიკის გატარება:  
საღამო უნდა გამართოლიყო ევლო-  
შვილის სასარგებლოთ და რასაკვირ-  
ველია მეტი ქანქარი იყო საჭირო,  
შოვნა კი ძნელი იყო, რადგანაც  
მესამე დასელების მიმდევრთ კარ-  
გად მოგვსენებნათ ჯერ ისედაც „ქან-  
ქარზე“ საკლებად არიან და თანაც  
ყოველთვის თვატრსა და საღამოებს  
ეგენი ესწრებიან. იფიქრეს და ბევ-  
რი ფიქრის შემდეგ, რომ დაზარე-  
ბოდან თავიანთ ძველ ნაამხანაჯარს  
გამოსძებნეს შემდეგი სუშულება:

გაუცხადეს ბოიკოტი ველოშვილს, გავარდა ხმა ბოიკოტისა და დაფა-  
 ცურდენ „მამულიშვილები“ იცე შე-  
 რბოდენ ოჯახებში, და დაწესებუ-  
 ლებებში გვეგონებოდა, ცნობილ  
 გოგია ზვიადაძის რაზმშია და ბურ-  
 ეუებს იტაცებენო. შეშინებულნი  
 დამფრთხნენ, მაგრამ როცა დარწმუნ-  
 დენ რომ „გამამულიშვილებულის“  
 სასარგებლოთ ბილეთებს აწვდიდენ,  
 ესენიც ახმაურდენ — როგორ თუ  
 ბოიკოტს უცხადებენ ჩვენ „მამული-  
 შვილსო“ და სულ „ლიტერნი“  
 ლოცები იყიდეს. თეატრი სულ გაი-  
 ქედა. როგორც ასტრახანის ტარანი  
 ისე ელაგა ხალხი ერთი-მეორეზე.  
 როცა ვაკვირდებოდი ამ სცენას  
 „არტემა აფიშორმა“ მითხრა: — ვა,  
 გეთაყვა რასა ვებედა ამასა, დღეს  
 ისისთანა ხალხსა ვებედა რომ ვგო-  
 ნებ ამ ათ წელში გარდა რუსული  
 წარმოდგენებისა ერთხელაც არ შე-  
 მოუხედნია თეატრში, თორემ შე-  
 მოსვლას ვილა სჩიოდაო.

ვინ არ გინდა რომ არ იყო, ქუ-  
 თაისის „არისტოკრატია“, „არის-  
 ტოკრატები“, „დეკოლტეითი“, „ფე-  
 ნეტრ დანფერის“ და ტანგოს ტან-  
 საცმელით. სცენაზე ამ დიდებულ  
 გვამთ უზღერდა ჩვენი ახლად „გამა-  
 მულიშვილებული“ იროდიონი. (რა  
 ქნას კუქმა შეაწუხა, თორემ არც ასე  
 არ მოიქცეოდა, ყველამ იცის):  
 „ყვავს რა ჰქონდა, კაქკაქს გაქონ-  
 დაო“. დასელებს რა აქეთ, რა ჰქონ-  
 დათ, რომ ველოშვილისთვის მიეცათ)  
 და კარგადაც ჩაატარა თავისი სიმ-  
 დერა:

წინ-წინ გასწით,  
 თავი ასწით  
 ღვინო ველურქოთ  
 დიდი ყანწით.  
 ხმალ-ხანჯალი  
 მტერს გულს დავსცეთ,  
 და სამშობლო  
 არვის მივცეთ.

გვეყო აწ ეს  
 მოთმინება,  
 ეყოთ მუშებს  
 მოღბინება,

ისევ თქვენვე  
 გაიხარეთ,  
 თქვენ — მუშებო —  
 ქედი ხარეთ.

ამის შემდეგ სცენაზე გამოდის  
 „პოეტი გუცა“, მოწუფის ქულით

თავზე, წითელი ბოლოკებათ ხელ-  
 ში და მღერის: „მამული-  
 ვენაცვოლე მსოფლისსაგეროს“  
 იმან მოცა „სტიბენდია“,  
 თუმც არ ვსწავლობ მე სკოლაში,  
 მაგრამ არ მაქვს მის დარღია.



ს. სუფსაში ვლენების ვაჯირშობა ი. გურიელის მოზურავის ყანაში.

**სიმღერა მოზურავისა.**  
 დროს შესაფერ მოზურავისა  
 ვერსად ნახეთ ჩემისთანას,  
 ას-ოც მუშას, უსასყიდლოდ  
 ვამუშავეთ ამ ჩემს ყანას.

ვინც არ დაემორჩილება  
 ჩემს „კანონებს“ და ჩემს ძალას  
 თვის ყანიდანც გადავდენი  
 და წინ-წინ ავიღებ ღალას.

ტანა.


ფულები ხომ მუქთად მომდის  
 და ვეჩიფობ მუღამ ღამეს,  
 ასეთ „მამულიშვილობით“  
 მეც შევიძენ ცოტა რამეს.  
 მე მიღვია თქვენგნით სული  
 მისთვის ვარ თქვენი მონა,  
 ვენაცვალე მე ჩემს „მუზას“  
 თქვენი თავი მოშავონა.

თორემ ჩემი გულ-ვაკობა  
 თანაც ჩემი მამაკობა  
 ყველა დამეკარგებოდა  
 სხვაგან გადიბარგებოდა.

ბოლოს მოვლა თეატრს ცნობა,  
 რომ იმერეთის ეფისკოპოსი გიორგი  
 ლოცვა-კურთხევას უზგავნის ევლო-

შვილსო და თანაც კოროცდა აათს  
 მაანათსოოო...  
 ყოველივე ამ დღის ღირებულები  
 ზემი გამოიწვია დასელებს პოლი-  
 ტიკამ. არ ამხელს ევლოშვილი აშ-  
 კარად, თორემ გულში ბევრს ლო-  
 ცავს დასელებს.

ხვასტუნოვი.



პასუხის პასუხი კალისტრატ ნიკო-  
 ლაიჩს „პრინც ალისუბანსკის“.  
 დილა ვეჭილო, „გამოქექილო“,  
 გადავიკითხე თქვენი პასუხი,  
 რასაც ევლოდი არც ის გამოღდა  
 რაზე დაგჭირდა ეს რაზა-რუხი...  
 თქვენ შემომწამეთ ვითომ ოდესმე  
 თქვენი სასახლის ვიცავ მორჩილი,  
 ზურგზე მაჯექით ბეკა ვირივით  
 არ გამებედა სადმე ფორხილი.

ამას ამტკიცებთ მხოლოდ იმითი,  
 რომ მე მცოდნია ვგ შენი ბეკა  
 ვერ დამამკირებთ, ნუ ვაირჯებით  
 ტყვილა ასტებეთ ეფენების რეკა.  
 ჯერ ერთი კიდევ, რომ ვყოფი-  
 ლიყვე  
 თქვენი სასახლის მონა-მსახური,  
 ბეგრად სჯობია გლეხების ცარცვას  
 პატიოსანი სხვის სამსახური.  
 მაგრამ მე თქვენი მოსამსახურე,  
 საბედნიეროდ არა ვყოფილვარ,

თქვენ ვინც გვონათ ჩემო კალისტ-  
 რატ  
 მართალი გითხრა მე ის როდი ვარ.  
 თუ იმას ვფიქრობ, როგორ გავიფე  
 დილო ვეჭილო თქვენი „გრაფობა“,  
 ეს ცხონებულმა მამამ ვაღმომცა  
 და მეც დავიწყე ბიოგრაფობა.  
 მისთან ვასრულებ პირწყლიან თხო-  
 ვნას  
 სწორეთ ჩავაგდეთ ლატარიაში,

„იმერეთს“ ერგეთ ვასასაღებლათ  
 ბედრიერი ხართ „პრინცო“ ამაში.  
 მიმინო მწვეარ და მეცებრები  
 ერაო იასა—(პირსა ლიას).  
 ეგ შენი ვირი თავისი კუღით  
 „გუცა პოეტსა“ და მის წიაღსა.  
 რომ ლატარია უტყუარ იყო  
 ამას ხედვად გრიგოლი „ჟალი“  
 (ჰკუთო რომ არის სახეებით სალი  
 და რომ ატყვია „ჩაიკას“ ღალი.  
**ხვასტუროვი.**

## პროვინციელი სცენის-მოყვარენი

სცენა 1 მოქმედება.

(გუძღვნი ჰათურის სცენის მოყვარებს).

**მომქმენდი პირნი:**

ვახტანგ ცხვირაჲე—სტუდენტო.  
 მაშვილა არშვიასისა.  
 ვახილ რევისოი.  
 დიმიტრი შვიდობაძე.  
 იასონ ტიკუორაშვილი.  
 კლია აშპარტანდიჲე—სასამართლოს ჩინოვ-  
 ნიკი.  
 იოსებ ცრუაძე.  
 პორფილე—თეატრის სტარეი.  
 ბოჭუელი და ორი სტრაენიკი.

### სცენა.

დეკორაცია მოხსნილი, რამოდენიმე სკამი,  
 აქა-იქ ძველი სავარძლები. სცენა დაუგე-  
 ლია, უკანა კედელი არა სდგას და მონახან  
 დეკორაციების ასაწევი თოკები, სხვა-და-სხვა  
 დეკორაციების ნაწილები, „ატკობენ“,  
 დახატული ბუჩქები, ჩაუქუები, დიდი ხის  
 კოლოფი ლურსმებისათვის; თადეგორა აფუ-  
 ლბული დანახტული ფეხი, დიდი რგული  
 სტოლი, მეთრე პატარა ზღ დადებული.  
 ძველ მიყრილ დეკორაციებზე რომელიმე  
 პიესის აფიშა გაკრული და სხვა.

### I.

**პორფილე:** (ფარდას ახდას დროს  
 სცენაზე და დეკორაციას დასამკრებელ  
 „ატკობს“ ასწორებს, ხუზსა).  
**ვახილ:** (შემოდის დაქანგული, ქედს  
 მოახდას და სტოლთან დაჯდება). ეხ...  
 ამისთანა სიკოტლესაც არ უთხრა!  
 მთელი დღე დავრბივარ, დავძრწივარ  
 და მიინტ საქმე სასურველად ვერ  
 მოვაგვარე. ავერ ორი კვირაა დავე-  
 გეტები, მინდა ერთი წარმოდგენა  
 გავმართო, და ვერ მომიხერხებია!..  
 ხან ერთ სცენის მოყვარეს უნდა

ვებეწუო, ხან მეორეს. ხან მესამეს,  
 და ასე ამრიგათ, ვებეწევი, ე ბოჟო  
 მომეხმარეთ, გავმართო წარმოდგე-  
 ნა, ხელი შეუწყოთ ხელოვნების  
 განვითარებას რამდენადაც შეგვი-  
 ძლიან-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მო-  
 მივედეთ, ერთი ალთას მირბის და  
 მეორე ბალთას! არ იქნა თავი ვერ  
 მოუყარე, დღეისთვის რგებტიცაა  
 დაგნიშნე, შემპირდნენ მოვალთო და  
 არ ვიცი ვნახათ რა იქნება. (მორ-  
 ფიადეს) მოიწი ახლოს, პორფილე,  
 სანამ შეიკრიბებიან ცოტა ვილაპა-  
 რაკოთ.

**პორფილე:** ვინ უნდა შეიკრიბოს  
 ბატონო?

**ვახილ:** ვინ და სცენის მოყვარე-  
 ვები. დღეს რგებტიცაა არის დანიშ-  
 ნული.

**პორფილე:** კი, რასაკვირველია  
 შეიკრიბებიან

**ვახილ:** არა ისინი დამპირდენ  
 დღეს უსათუოდ მოვალთო.

**პორფილე:** იმე, რა უყოთ რომ  
 დავპირდენ! საქმე დაპირება კი არ  
 არის, ასრულება, ერთხელ სულთა-  
 ხიც ქე დაპირდა თათრებს რაცხა  
 კონტასტუციოა, მარა ქე ააპუტა  
 უტებ.

**ვახილ:** არა მგონია რომ დღეს  
 კიდევ მომატუელიონ.

**პორფილე:** (ილიმება) არა, ბატო-  
 ნო, ტუელი იმედი გაქვს. შეიძლება  
 ორი კაცი მოვიდეს! და ორით ხომ  
 ვერ გაპართე წარმოდგენას?

**ვახილ:** ორი კაცი თუ მოვიდა  
 მესამე მე და მეოთხეც შენ მოგე-  
 ხმარე, შე კი კაცო, ამდენი ხანია  
 აქ უსურებს მოთამაშეებს და რაღაც  
 ერთ როლს ვერ ითამაშებ?

**პორფილე:** იცოცხლე მე ვითამა-  
 შო, მარა ოთხი კაცით რა პიესა უნდა  
 ვითამაშო?

**ვახილ:** რა ვითამაშოთ და ოთხი  
 იმერელი! ხომ გიყურებია ამ პიესი-  
 სთვის?

**პორფილე:** კი მიყურებია მგონი,  
 მარა რაცხა აღარ მაგონდებია.

**ვახილ:** შე კაცო სტრიფონი რომ  
 არის, მონადირე, როგორ არ გახ-  
 სავს!

**პორფილე:** იმე, ავერ სიანეთის  
 ტუიდან რომ მოდეს, ერთი ლულით  
 სამჯერ რომ გიყურებია, მესურებია, კი  
 ბატონო კი, რავე არა!

**ვახილ:** ჰო და ითამაშე! რაც მეტ  
 ტუილს იტყვი უფრო კარგია.

**პორფილე:** ტუილზეა საქმე ბა-  
 ტონო!? იცოცხლე იგი მე არ შეეც-  
 შალოს! ისეთ დაეყარო რომ. მარა  
 იქნე ვინ იქნება ბატონო? (უხერხებს  
 უფუფიონის ბუტკასზე).

**ვახილ:** იმის ჯავრი ნუ გაქვს, იქ  
 ისეთი სუფელიორი იქნება, რომ რო-  
 გორც ხარბახანი ისე იქექებს.

**პორფილე:** კი დაგემართოს მარა,  
 რომ ვიცოდე ვინაა კი კი იქნება.

**ვახილ:** ვინ იქნება და იოსებ  
 ცრუაძე, ხომ იცი რომ კარგათ კი-  
 თხულობს.

**პორფილე:** იმე რომ კითხულობს  
 აქანე უნდა წეკითხოს, თვარა იმან  
 რომ მაშის წოკუითხოს რავე, მე  
 აქანე ტელეღრაფით გვევიგონებ თუ?  
**ვახილ:** როგორ თუ მამა მის? ის  
 აი აქ წეკითხავს ბუტკაში.

**პორფილე:** რას მელაპარაკები,  
 ბატონო, მის იმედზე ღმერთმა ჩემი  
 მტერი დააყენა! იცოცხლე პრუტყელი  
 ტუელიები იმან იცოდეს. შეიძლება  
 კი იცის მარა კი გასურებაც იცის.

**ვახილ:** არა მავას რათ ამოზო,  
 შეიძლება ხან-და-ხან მოგავტყუო-  
 ლოს, მაგრამ იმანაც დრო იცის.

**პორფილე:** რის დროა, ბატონო!  
 იმაზენ უკეთესი დროა იქნებოდა,  
 რომე დიდი და პატარა, ქალი და  
 კაცი უქმობდა და დღესასწაულობდა  
 აკაკის უბილეს და მავი კი რაქაში  
 ქეიფობდა. თქვენ არ იყავით რომ  
 შეგადგათ წრილი ვინდა ისუფლი-  
 ოროსო? ასეთ გიქნათ ამა. შეგპირ-  
 დათ და წარმოდგენის დამეს რაკიდან  
 სუფლიორობდა.

**ვახილ:** ეგ რა უყოთ, იქნება საქ-  
 მე ჰქონდა რამე.

**პორფილე:** იმე საქმე! საქმე ყვე-  
 ლას ქე აქვს. ვინცხას არა აქვს და  
 უსაქმოა იგი საფლავშია. რომ შეგ-  
 ვარდნებათ უნდა ასსურელოს კიდევ.  
**ვახილ:** კარგი, პორფილე, წადი  
 შენი პირიმე, ნახე ბაზარში აქნებია

სადმე და დაუძახე. უთხარი რეპეტიციამდე გიცდით-თქო.

**პირველი.** კი ბატონო, კი წავალ... (შუბლდაკი) მონახე თვარა შორს მომიწვეს ძებნა, აგერ იქნებიან პალატიონი ყველე (გადას).

**გაგია.**

(შეზღვე იქნება).

## გურული სცენა

ფიფიო და მიგდანა.

**ფიფიო.** გამარჯობა დაიავ, რაქენი მომილოცავს, ყაქი დაგზავდაო, ღმერთმა და ბუნებამ ყოლიკაცს დაუშხაოს, ვაი ჩემს დღეს თვარა.

**მიგდანა.** მალაბელი ვარ გულო მარა შენი ყაქის წახთენამ ჩემი ოთხივე შვილები და ერთი კაკალი ქმარი ნუ მომიკეტება ჩემი გული მომქექვა. ვისი კეკალი იყო იგი ამოგდებულო?

**ფიფიო.** ოი, კეკლიანი და სანეზურე არ გაგნებულოყოს მის ბარახე აფერი, ლანჩუთის ვაჭრები კას მეიტანს რამეს? გაკადა იგენის ძარღვები, გულარა მათი ნაფქრები იგენს უნელაო, ფიქრადი ერთ ნახალეუხვს კაცს ვახვედრებ, ციკას ერთ შლაპკას რაცხა ტანგოაო თუ რაცხა მათი ბენდელი იმას უყიდი მეთქი, ერთი ნაკაბევი გეგმა მეც მომიწოდა, მარა ჯვარი აქანაი და ისე აქოთდა ყოლიფერი ბახრამოც ვერ მოგვარჩენს მგონია. არ მოპარუნებულოყოს ვინცხამ მე იგი მოპყიდა.

**მიგდანა.** არა იმან გამაყრყერა ქალი აი გასაფუშავი მოსხო ვაჭრები რომაა ტყუილი დაზოხინენ დაძაღვარ ყაქსავით, თვარა მომიყიდო ტყუილი არ შეგვაბიჯებიან. მე ლახარასთან დავტეი ღმერთმა სიკეთე მისცეს ამ ფასზე არ დაგაკლებ და თუ ეიწია აწულოში გაგისტორღებო.

**ფიფიო.** არც ივანე ყიდულობს?

**მიგდანა.** ივანეს ვინ გულუნტყუნებს ეტიფანეს დაზოთვას გლოობს, მე სწევები მაკვირებს თვარა.

**ფიფიო.** ვაი დასურ ღმერთმა კი

გავახსენოს, ვინ დაზორთა ნეტაი აი ვახსუქავი?

**მიგდანა.** რაიცი გულო, საცოდინარი შეეშალა იმას მისი გულიზა მთელი სოფელი სამი დღეი აყურყუტეს კანცელორიაზე. ცხვირი რომ დღმა აქ ყოლიკაცი მისი მტერი ყოფილა, აქეთ აქანა აეთის გზაო, აქეთ უჩენიკებო, აქეთ სხვა-დასხვა ნარი ქალებო და ახლა ყაძახო შენ მონახეო, აგია სამარათლი?

**ფიფიო.** აბა რაი დაო, ცხენს ვერ შესტვენ და უნაგირს ამტერვენ, დასურ ყოლიკაცი ჩივა ხუცესი კი არა ეშმაკის წადებულოაო, სათანობას ქადაგება და შუათს თესავდაო. არა, ვითამ შევადამეზე მოლოცველ კაცს რა აძუნძულებდა შუკა-შუკა. ნეტაი მისი მძა ბიქები რაფერ გუნებაზეა.

**მიგდანა.** რაიცი, ყველას ჯარბანაში გადუღარია, ნეტაი ყოველ-დღე არ წვიმდეს და ყანები არ ამივდლო, მშვიდობით.

**ფიფიო.** აბა რაი გულო, მშვიდობა მოგცეს ბუნებამ.

ცხვირს ხაჯრავი.

## ხმა დაგ-სოფლებიდან

**დ. ჯერილი.** „ლაბტი“-ს მეთუთხმეტე ნონერში ნიკო-ბერის და ამხ. წერილი ყვირილიდან სრულიად სიმართლეს მოკლებულია. ბნ ილია მალ-ძის კლუბში ბანქოს არ თამაშობენ.—იქ თამაშობენ მხოლოდ ტომბოლოს, ე. ი. სიკინქოს. ბანქოს სათამაშო კლუბი კი არსებობს აფთაქის მალაზიაში ბიქტორ უზნაძესთან.

ძირმავარა.

**ველისციხე** (კახეთი). ჩენი სოფლის, ფართე და უტალახო ქუჩაზე, განქარბებული მიგაბიჯებდი. ერთმა გლეხმა, მძაღლიდ თავი დამიკრა და ხელში ქაღალდის ნაგლეგი მამაჩნა. „ქაღალდი“ უცხო ენაზე იყო აქრებებული, და რადგან უცხო ენასთან მწყურალოთა ვარ, ვერა გავიგე რა. მხოლოდ „ქაღალდი“

დავინტერესდი, მაშინ როდესაც, მის ბოლოს რუსულად შენიწევას მოვკვირთავლი — წვიკითხე: „პოლუს ზა ვიზიტ 1 რუბლ. დოკ. ვანაძე“. მაშინ კი მიუხიდი რომ, ხელში ადგილობრივ ექიმის დაწერილი რეცეპტი მექირა. გლხმა, ყოველივე მიამბო თუ, როგორ მიამსგავსა ჩემი „გალუსტიკა“ და „ცილინდრი“ „აფთარაქის“ ბატონისას. „ქაღალდი“ ბატონის დაგვბრუნე და ნამდვილ აფთეკაში გავისტუმრე. მე კი მომეწონა აქაურ „დაბტურის“ ქუკა-მახვილობა — რეცეპტის საშუალებით, ვიზიტის ფულის განდღებზე.


მაშინდელი.

ჩიბათი (გურიი).

ერმალამ უთხრა მახარბელს: „სოფელი არის დუბაო, შემიწვარი გემრიელია, უწვივიც კი იქუმაო.“  
ნულარც დავგოგავთ თუ ვარგხარ, დროებით არის ჩენიო; აბა ვინ გეტყვის მდლობას თუ ვინ კარგიც რამ ქენიო?!  
ოლონდა მივკეთ ერთმანეთს გაქვირებაში მხარიაო: ვინ იცის ვინმემ რომ ის ქნას — ადგეს და მოგვდეს შარიო.“  
მახარბელმა სთქვა პასუხათ: „თანახმა გენაცვლო, სწორეთ მიმგებარხარ რაც მსურდა და დიდთ დამავალყო.“

ასე მოვიქცეთ უთუოთ, აზრია მოსაწონია, შენ თუ ცოტა ხერხს მსწავლი — გაგისტქელდეა ქონია.  
„სტარმინენთან ხარ ნაწვევი, იცი სხვა და სხვა ხრიკოა, იმათთან გამოვიცილია ასი ურემი ტიკოა“...  
სთქვეს და ნათქვამი კიდევაც შეასრულეს როგორც სურდათ, მაგრამ ხალხმა რომ გაიცხა, მაშინ შუბლი გაუხსურდათ.

შეზღველი.



ი. ევლავილის სიმღერა წინა და დღეს:

მეგობრებო! წინ-წინ ვასწით  
 ნუ შედრეკება თქვენი გული,  
 დე მკერდს სისხლის დალი ანდეს  
 და შუბლს ოფლის ნაკადული.

წინ-წინ, მედგრად შევებრძოლოთ  
 ჩარბ-უკუღმართ ამ ჩვენს დროსა,  
 კირის ოფლში გავატაროთ  
 სიმართლის და ძმობის დროშა,

დე ჩვენ ტოლთ, უგვანო შეიღო  
 კრბის წინა მზარონ ქელი, —  
 ფუ იმ ვაქეას, ვინც ინატროს  
 მათი სვე და მათი ბელი....



მეგობრებო! წინ-წინ ვასწით  
 ნუ შედრეკება თქვენი გული,  
 დე გეწყალობდეს ბელში მყოფი,  
 რას დაგვაკლებს დაჩაგრული.

წინ, წინ — მედგრად შევებრძოლოთ  
 მუშა ხალხს და მათ დამცველებს,  
 ძირს მშიერი კუჭის მქონე,  
 გაუმარჯოს მამლარს ჩვენებს.

დე სხეებმა, უმედტრებმა,  
 მძლავრს არ მოუხარონ ქელი,  
 ფუ იმ ვაქეას, ვინც შეიტკბოს  
 დაჩაგრულთა სვე და ბელი.

მთარახსანი.